

F-171
1975



საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

ბრძანებათა და ინსტრუქციათა

კ რ ე ბ უ ლ ი

12

С Б О Р Н И К

ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИИ

МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ბ რ ე ბ უ ლ ი

თბილისი 1975



საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1975 წლის
26 სექტემბრის ბრძანება № 682

F-4055

სკკპ ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის გაშლილ
სოციალისტურ შეჯიბრებაში სკოლებსა და სახალხო განათლების
ორგანოების ამოცანების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია აღნიშ-
ნავს, რომ სკკპ ცკ-ისა და საქართველოს კპ ცკ-ის დადგენილებებმა
„სკკპ XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის სოციალისტური
შეჯიბრების შესახებ“ მშრომელთა ერთსულოვანი მოწონება და სა-
ყოველთაო მხარდაჭერა ჰპოვა.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებლებსა და სახალხო
განათლების მუშაკებს თავიანთი წვლილი შეაქვთ პარტიის XXV ყრი-
ლობის ღირსეულად შეხვედრისათვის გაშლილ საყოველთაო-სახალხო
სოციალისტურ შეჯიბრებაში.

რესპუბლიკის სახალხო განათლების დარგის მუშაკთა და სკოლის
მრავალათასიან მასწავლებელთა შორის დიდი აღფრთოვანება და
მხარდაჭერა გამოიწვია ქ. მოსკოვის ზოგიერთი სკოლის პედაგოგიური
კოლექტივის ინიციატივამ, რომელთაც ვალდებულეა აიღეს ღირსეუ-
ლად შეხვედნენ სკკპ XXV ყრილობას, იმუშაონ დევიზით—„სანიმუშო
კომუნისტურ ქალაქს—სანიმუშო სკოლეს“, მოწოდებით მიმართეს
ქ. მოსკოვის სახალხო განათლების ყველა მუშაკს.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია ხაზგასმით
აღნიშნავს, რომ მოსკოველთა მოწოდების საბასუხოდ ქ. თბილისის
პირველი, მე-12, 38-ე, 43-ე, 65-ე, 98-ე, 110-ე, 124-ე, 133-ე, 147-ე
სკოლეს, კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა-ინ-
ტერნატის, მე-6, 38-ე და 75-ე პოლიტექნიკური სკოლა-ინ-
ტერნატის, კოლექტივმა გაზრდილი ვალდებულება აი-
ღეს და მოწოდებით მიმართეს ქ. თბილისის ყველა ტიპის სასწავ-
ლებელსა და მასწავლებლებს—„სანიმუშო კომუნისტური კულტურის,

სანიმუშო კომუნისტური კულტურის



სანიმუშო შრომისა და ყოფა-ცხოვრების ქალაქს—სანიმუშო სასწავლებლები“.

თბილისის სკოლების პედაგოგიური კოლექტივების წამოწყებამ ახალი ფურცელი უნდა ჩასწეროს სკკპ XXV და საქართველოს კპ XXV ყრილობების ღირსეულად შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით განხორციელებაში.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიაჩნია, რომ მოსკოველთა თაოსნობა, თბილისელთა წამოწყება მისაბაძი მაგალითი უნდა ვახდეს რესპუბლიკის ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის პედაგოგიური კოლექტივისა და სახალხო განათლების ორგანოსათვის.

ამასთან ერთად, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო ერთხელ კიდევ ხაზს უსვამს, რომ რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგიურ კოლექტივებს, სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებს მთელი რიგი ნაკლოვანებანი გააჩნიათ საყოველთაო-სავალდებულო რეაწლიანი სწავლებას კანონის განხორციელების, საყოველთაო-საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრებისა და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფის საქმეში.

სკკპ ცკ-ისა და საქართველოს კპ ცკ-ის დადგენილებების—„სკკპ XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში შესახებ“, სსრ კავშირის განათლების სამინისტროს კოლეგიის დადგენილების—„ქ. მოსკოვის სკოლების პედაგოგიური კოლექტივის მიმართვის შესახებ“. შესასრულებლად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ლ :

1. სკკპ ცკ-ისა და საქართველოს კპ ცკ-ის დადგენილებები „სკკპ XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის სოციალისტური შეჯიბრების შესახებ“ მიღებული იქნეს განუხრელად სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად.

2. მოწონებულ იქნეს და მხარი დაეჭიროს მოსკოველთა თაოსნობის საპასუხოდ ქ. თბილისის პირველი, მე-12, 38-ე, 43-ე, 65-ე, 98-ე, 110-ე, 124-ე, 133-ე, 147-ე სკოლების, კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა-ინტერნატის, მე-6, 38-ე და 75-ე პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების პედაგოგიური კოლექტივების მიერ აღწეულ ინიციატივას, რომლის მიზანია სკკპ XXV ყრილობის ღირსეული შეხვედრა, მუშაობა დევიზით—„სანიმუშო კომუნისტური კულტურის, სანიმუშო შრომისა და ყოფა-ცხოვრების ქალაქს—სანიმუშო სასწავლებლები“.

3. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, ს. მ. ხალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა, რესპუბლიკური და ქვემდებარების დაწესებულებების ხელმძღვანელებმა:

ა) ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა აწარმოონ მოსკოვისა და თბილისის სკოლების პედაგოგიური კოლექტივების წამოწყების პოპულარიზაციისათვის; სკოლაში, სკოლამდელ, სკოლისგარეშე და განათლების სისტემის სხვა დაწესებულებებში მოაწყონ მოსკოველ და თბილისელ მასწავლებელთა მოწოდების ფართო განხილვა;

ბ) შეიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებანი, რათა თბილისელი სკოლა გადაიქცეს სანიმუშო სასწავლო-აღმზრდელო ით დაწესებულებად;

გ) განახორციელონ ღონისძიებანი, მასწავლებელთა და სკოლის ხელმძღვანელთა შეძღვოში პროფესიული დაოსტატის, მოწინავე განცდილების შესწავლა-განზოგადება, გავრცელების საქმეში.

4. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სისტემის ყველა დაწესებულების ხელმძღვანელებმა:

ა) გახიზილონ და მხარი დაუჭირონ მოსკოველ და თბილისელ მასწავლებელთა ინიციატივასა და მოწოდებებს;

ბ) შეიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებანი სკოლების სასწავლო-აღმზრდელო ითი პროცესის ხარისხისა და ეფექტიანობის შემდგომი ამაღლებისათვის;

გ) კოლექტივში, კრებულსა და თათბირებზე დეჟალურად იმსჯელონ წინასაყრილობო სოციალისტური შეჯირების შემდგომი განვითარების ამოცანების შესახებ;

დ) სისტემატურად იზრუნონ სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების, სწავლებაში ტექნიკურ საშუალებათა დახეოგვის, სწავლების კაბინეტურ სისტემაზე გადასვლისა და შეფსაწაომოეთან და დაწესებულებებთან კავშირის განმტკიცებისათვის.

5. გაზეთმა „სახალხო განათლებამ“ (ამხ. ნ. შველიძემ) და ჟურნალმა „სკოლა და ცხოვრებამ“ (ამხ. გ. საჯაიამ) ფართოდ გააშუქონ მოსკოვისა და თბილისის სკოლების პედაგოგიური კოლექტივების ინიციატივა და თაოსნობა მიძღვნილი სკკპ XXV და საქაროველოს კბ XXV ყრილობებისადმი, წინასაყრილობო პერიოდში გამოაქვეყნონ მასალები სკოლების ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად განაღლებულ სოციალისტურ შეჯირებაში მიღწეულ წარმატებებზე.

6. კონტროლი ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობაზე დაე-
კისროს სკოლების ს მმართველოს (ამხ. რ. კანდელაკს), სახალხო განათ-
ლების ინსპექციას (ამხ. ზ. როგავას), სოციალისტური შეჯიბრების
ხელმძღვანელობის რესპუბლიკურ კომისიას.

7. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო ღრმა რწმენას
გამოთქვამს, რომ თბილისის სკოლების პედაგოგიური კოლექტივების
ინიციატივა და წამოწყება, რომელსაც უდაოდ მხარს დაუჭერს რეს-
პუბლიკის ყველა ქალაქისა და რაიონის სკოლის პედაგოგიური კო-
ლექტივი, საწინდარი იქნება მოსწავლე ახალგაზრდობის სწავლებისა
და კომუნისტური აღზრდის ხარისხის ამაღლებისა, რითაც ჩვენი მას-
წავლებლები თავიანთ წვლილს შეიტანენ სკკპ XXV და საქართველოს
კპ XXV ყრილობების მზადების პერიოდში დასახული ამოცანების წარ-
მატებით განხორციელებაში.

აღნიშნული ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთ „სახალხო განათლე-
ბის“ უახლოეს ნომერში.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კო-
ლეგიის 1975 წლის 18 სექტემბრის დადგენილება.

მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1975 წლის 25 ნოემბრის ბრძანება № 930

სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებათა
სახანძრო დაცვის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ

მიმდინარე, 1975 წლის ზამთრის პერიოდში ადგილი ჰქონდა ხანძრის შემთხვევებს ქ. ქ. თბილისისა და ქუთაისის, ახმეტის, ლანჩხუთის, მაიაკოვსკის, საჩხერის, ტყიბულის, ხულოსა და წყალტუბოს რაიონებში ზოგიერთ სკოლასა და საბავშვო დაწესებულებაში.

ხანძრებმა მთლიანად განადგურეს ლანჩხუთის რაიონის სოფ. აკეთის საშუალო და ხულოს რაიონის წაბლანის რვაწლიანი სკოლების შენობები, დიდი ზარალი მიყენეს მაიაკოვსკის რაიონის ვარციხის საშუალო სკოლას, სადაც დაიწვა 14 და დაზიანდა 9 საკლასო ოთახი. ხანძრები შიშვე შედეგებით დამთავრდა აგრეთვე საჩხერის, ტყიბულისა და წყალტუბოს რაიონებში.

1975 წლის ზამთრის პერიოდში მომხდარი ხანძრების შედეგად ზარალმა 96,0 ათას მანეთს გადააჭარბა.

ხანძრების წარმოშობის მიზეზების შესწავლით გამოირკვა, რომ აღნიშნული სკოლების დირექტორები სრულ უპასუხისმგებლობას იჩენდნენ სახანძრო უსაფრთხოების განმტკიცების საქმეში. წლების მანძილზე არ ასრულებდნენ სახანძრო უშიშროების ტიპური წესების მოთხოვნებს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს შესაბამის ბრძანებებსა და სახანძრო ზედამხედველობის ადგილობრივი ორგანოების მიწერილობებს.

არაერთგვის სპეციალური მითითების მიუხედავად, განათლების განყოფილებათა გამგეების ერთი ნაწილი სათანადო ზომებს არ ღებულობდა სკოლების მიერ სახანძრო უშიშროების წესების შესასწავლად, არ მოითხოვდა მათგან ამ წესების განუხრელად შესრულებას, გადამჭრელ ზომებს არ ახორციელებდა სკოლე-

ბისა და სხვა საბავშვო დაწესებულებების ხელმძღვანელების პერსონალური პასუხისმგებლობის ასამაღლებლად.

1975 წლის ზამთრის პერიოდში მომხდარი ხანძრების ზამთაროვანი სეზონის სსრ განათლების მინისტროს კოლეჯიამ სამუშაოდან მოხსნა სკოლის დირექტორები, რომელთა უპასუხისმგებლო დამოკიდებულების შედეგად დაწესებულება ხანძრები, მკაცრად გააფრთხილა განათლების განყოფილებათა გამგეები სახანძრო უშიშროების განმტკიცებაში მომთხოვნელობის შესუსტების გამო.

საქართველოს სსრ განათლების მინისტროში არსებული მასალებიდან ირკვევა, რომ, გატარებული ღონისძიების მიუხედავად, დღეისათვის ჯერ კიდევ ბევრი სკოლა და საბავშვო დაწესებულება კვლავ იმყოფება არადამაკმაყოფილებელ ხანძარსა და სანაღმდეგო მდგომარეობაში. ასე, მაგალითად, ავარიულ მდგომარეობაშია ელქარო-გაყვანილობა ქ. თბილისის №№ 6, 49, 113 საშუალო და ძეგლის რაიონის რვაწლიან სკოლებში, პირველ დამხმარე სკოლა-ინტერნატსა და დილოს მატერიალურ-ტექნიკური ძობარაგების ბაზაში, აგრეთვე აფხაზეთის ასსრ სოხუმის № 18 და ტყვარჩელის № 6 საშუალო სკოლაში, დრანდისა და ბაბუშერას სკოლა-ინტერნატებში, აღნიშნული სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების უმრავლესობას არ გააჩნია ცეცხლმაქრობი, მეორე სევეაკუაციო გასასვლელი და ხანძარსაქრობი წყლის მარაგი.

ანალოგიურ დარღვევებს აღვილი აქვს გარდაზნის რაიონის კოჯრის №№ 1, 2, 3, 4 საბავშვო სახლებში, შინდისის, ჯანდარის, გამარჯვების, ნორიოს, გაჩიანისა და გიგანტის საშუალო სკოლებში, ქ. ქ. ქუთაისის, რუსთავის, გორის, ფოთის, აგრეთვე კასპის, მაიაკოვსკის, მახარაძისა და ცხინვალის რაიონების ზოგიერთ სკოლასა და საბავშვო ბაღში.

რესპუბლიკის სკოლებსა და საბავშვო ბაღებში, რომლებშიც გაყვანილი არ არის ცენტრალური გათბობის სისტემები, გასათბობად იყენებენ დროებითი თუნუქისა და კედლის ღუმელებს და ისიც სახანძრო უშიშროების წესების უხეში დარღვევებია, ადგილობრივი სახანძრო ორგანოების ნებართვის გარეშე.

რესპუბლიკის სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებათა სახანძრო დაცვის გაძლიერების მიზნით,

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხ-



რეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) განათლების სამინისტროს კოლეგიებისა და განყოფილებათა საბჭოების სხდომებზე ორი კვირის ვადაში განიხილონ ეს ბრძანება და შეიმუშაონ სპეციალურა გეგმა სახალხო განათლების ობიექტებში სახანძრო უშიშროების განსამტკიცე ლად;

ბ) პერიოდულად მოისმინონ სკოლების დირექტორების ანგარიშები მათ მიერ ხამარის პერიოდიკის ობიექტების მოსამზადებლად ჩატარებული ქემაოპის შესახებ;

გ) შენობების დაცვისა და სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით დღესასწაულებისა და საზოგადოებრივი ღონისძიებების ჩატარების დროს სკოლებში, არასამუშაო დღეებსა და ღამით მოაწყონ პასუხისმგებელი მეთაქათა მორიგეობა, არ დაუშვან იმ პირთა მორიგეებად დანიშვნა, რომლებსაც მიღრეკილება აქვთ სპორტიან სსმელებსადმი და უბასუხისმკებლობას იჩენენ დაქისრებული მოვალეობის შესრულებისადმი;

დ) უმოკლეს დროში ერთხელ კიდევ შეამოწმონ სკოლებში, სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო ბაღებში ცენტრალური გათბობის სისტემების, ელექტროგაყვანილობის, დროებითი თუნუქის ღუმელების ექსპლოატაციისათვის მზადყოფნის მდგომარეობა და მიიღონ გამტკიცებელი ზომები გამოვლინებული დარღვევების აღმოფხვრელად;

ე) მოკლე დროში უზრუნველყონ სახალხო განათლების ობიექტები ხანძარსაქრობი პირველადი საშუალებებით, სახანძრო წყლის აუზებითა და ტელეფონით, სრულ წესრიგში მოიყვანონ ელექტრომეურნეობა, არ დაუშვან შენობების გათბობა ელექტროგამახტრებელი მოწყობილობებით, მკაცრად აკრძალონ სკოლის შენობაში ადვილად აალებადი ნივთიერებების შენახვა, იატაკების ნავთითა და ბენზინით რეცხვა.

2. ეს ბრძანება განსახილველად და სათანადო ზომების მისაღებად დაევზავნოთ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებს, რესპუბლიკურ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებს, გოგებაშვილის სახ. პედაგოგიურებათა ინსტიტუტს, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტსა და ი. გოგებაშვილის სახ. ბილიოთეკას.

3. მეორე განყოფილებამ (ამხ .ო. მჭედლიძემ) გააძლიეროს მუ-
რადღება და კონტროლი ამ ორძანების შესრულებისადმი.



საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კო-
ლეგიის 1975 წლის 13 ნოემბრის დადგენილება.

მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**


საქართველოს სსრ ზანათლავის სამინისტროს 1975 წლის 4 დეკემბრის ბრძანება № 968

რესპუბლიკის საღამოსა და დაუსწრებელ სკოლებში 1974—1975
სასწავლო წლის შედეგებისა და მიღწერაე სასწავლო წლის
ამოცანების შესახებ

გავეცანი რა რესპუბლიკის საღამოსა და დაუსწრებელ სკოლებში
1974—75 სასწავლო წლის შედეგებს, აღვნიშნავ, რომ სახალხო გა-
ნათლების ორგანოებმა და სკოლებმა გარკვეული მუშაობა გასწიეს
მოზრდილთა სწავლების გარდაქმნისათვის.

განათლების სამინისტრომ, რესპუბლიკის ყველა ადგილობრივ
სამინისტროსთან და უწყეასთან ერთად, მიიღო ერთობლივი ბრძანე-
ბები მომუშავე ახალგაზრდების სწავლების გაუმჯობესების თაობაზე;
დაწესებულია კონტროლი მათ შესრულებაზე, ამავე საკითხზე წერი-
ლები გაეკზავნა პარტიის საოლქო, საქ-ლაქო და რაიონულ კომიტე-
ტებს, რამაც მნიშვნელოვანი შედეგი გამოიღო. სკკბ XXV ყრილობის
შესახვედრად კარგი ინიციატივა წამოიწყეს გორის ბამაეულის კომბი-
ნატში და გურჯაანის რაიონის ვეჯინის სახელმწიფო სანერგე მეურ-
ნეობაში მომუშავე ახალგაზრდებმა, ქ. ქუთაისისა და ყვარლის
რაიონის სოფელ ენისელის საღამოს სკოლების მოსწავლეებმა, რომელ-
თაც მოწოდებათ მიმართეს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში და-
საქმებულ ახალგაზრდებს და საღამოს სკოლების მოსწავლეებს, რათა
არ დარჩეს სწავლების გარეშე და საღამოსა და დაუსწრებელი სკოლე-
ბის ყველა მოსწავლე იყოს სწავლისა და წარმოების მოწინავე.

გატარებულ ღონისძიებათა შედეგად გაუმჯობესდა საღამოსა და
დაუსწრებელი სკოლების მუშაობა. 1974—1975 სასწავლო წელს,
წინა წელთან შედარებით, საღამოს სკოლებისა და დღის სკოლებთან
არსებული საღამოს კლასების რიცხვი 345-დან 404-მდე გაიზარდა,
მოსწავლეთა რიცხვი 47860-დან 50500-მდე გადიდდა, ხოლო მიმდი-
ნარე სასწავლო წლის დასაწყისში ამ რიცხვმა 51811-ს მიღწია, რაც
7060-ით მეტია მეცხრე ხუთწლედის პირველი წლის მაჩვენებლებზე,



მოსწავლეთა მიღების გეგმა როგორც მეცხრე ხუთწლედში მთლიანად, ისე მიმდინარე წელს გადაჭარბებით შესრულდა აჭარის ასს რესპუბლიკაში, ქ. ქ. რუსთავეში, გორში, ზუგდიდში, აგრეთვე ადიგენის, ახალციხის, ახმეტის, ზოგდანოვკის, ბოლნისის, გარდაბნის, გურჯაანის, ზესტაფონის, ზუგდიდის, ლავოდებისა და ბევრ სხვა რაიონებში.

ბევრმა ადგილობრივმა განათლების განყოფილებამ, სალამოსა და დაუსწრებელმა სკოლებმა განამტკიცეს ურთიერთობა ს.წაომოებთან და ორგანიზაციებთან. ზოგან ისინი პარტიის რაიონული კომიტეტისა და რაისბჭოს აღმასკომის ჩარევას შედეგად უზრუნველყოფენ საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელთა აქტიურ მხარდაჭერას მომუშავე ახალგაზრდების სწავლებაში ჩაბმის საქმეში. ახალგაზრდების სწავლებაზე ზრუნვის კარგ ძაგალითს იძლევიან თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო, რუსთავეის მეტალურგთა, ზესტაფონის ფეროშენადნობთა და ქუთაისის ავტომშენებელთა ქარხნები; ზუგდიდის რაიონის ინგირის ჩაის ფაბრიკა, გორის ბამბულის ქსოვილების კომბინატი, ვეჯინის საჭრთა მეურნეობა და სხვა.

მახარაძის აბრეშუმის ძაფსაღებ-საგრები ფაბრიკის დირექცია წამახალისებელ ღონისძიებებს ატარებს იმ მოსწავლეებზე, რომლებიც კარგად უთავსებენ ერთმანეთს სწავლასა და შრომას; გასულ სასწავლო წელს აქ 28 მოსწავლე დაასაჩუქრეს ფასიანი ნივთებით, გაცემული აქვთ საპატიო დაფა. ანალოგიურ ღონისძიებებს ატარებენ ამავე რაიონის მალაროთა სამმართველო, შემოქმედის, ნავომარის, ცხელმდისისა და შრომის კოლმეურნეობები.

სალამოს სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის განსამტკიცებლად კარგი ღონისძიებები გაატარეს ზუგდიდის რაიონის ინგირის და წულუკიძის რაიონის საბჭოთა მეურნეობებმა, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანამ, ბოლნისის სამთოგამამდიდრებელმა კომბინატმა და სხვა საწარმოებმა და მეურნეობებმა.

ზოგან წარმოება-დაწესებულებები მუდმივ ზედამხედველობას ახორციელებენ მოსწავლეთა გაცვეთილებაზე დასწრებასა და მათი აკადემიური წარმატების მდგომარეობაზე.

სალამოსა და დაუსწრებელი სკოლების დირექტორების და მათი მოადგილეების დიდი ნაწილი კარგად ხელმძღვანელობს სასწავლო-აღმზრდებლობით მუშაობას, სისტემატურად ესწრება გაცვეთილებს და სათანადო დახმარებას უწყევს მასწავლებლებს. ზოგან კარგად მუშაობენ სალამოს სკოლების მასწავლებელთა მეთოდური სექციები,

ქ. თბილისის მასწავლებელთათვის შეიქმნა საღამოს სკოლების მე-
დისტოა ჯგუფი—სასწავლო დისციპლინების მიხედვით ჩამოყლინა
ლია 10 სექცია, რომლებიც ნაყოფიერ მუშაობას ატარებენ მასწავ-
ლებელთა შორის.

მუშაობა გარდაქმნა საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების
რესპუბლიკურმა მეთოდურმა კაბინეტმა; შეადგინა და თარგმნა რუსუ-
ლიდან და ამჟამადც ადგენს რამდენიმე მეთოდურ წერილს, რომ-
ლე იც დიდ დახმარებას გაუწევინ საღამოს სკოლებს მუშაობაში.

კარგი მუშაობით გამოირჩევიან თბილისის მე-5, 23-ე, 28-ე,
ქ. ქუთაისის მე-3, რუსთავის მე-2, გურჯაანის რაიონის ვეჯინის,
ყარლის რაიონის ენისელის, ჯავის რაიონის კვისის და სხვა სკო-
ლები, საჩხერის რაიონის ოფშკვითის დღის სკოლასთან არსებული
საღამოს კლასები; თბილისის 34-ე საღამოს საშუალო სკოლას გააჩნია
კაბინეტ-ლაბორატორიები და მტკიცე მატერიალური ბაზა.

სისტემატურად მატულობს ისეთი სკოლებისა და კლასების
რიცხვი, სადაც მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება მაღალია. გურ-
ჯაანის რაიონის კატრეთის საღამოს სკოლის XI კლასის 23 მოსწავ-
ლიდან და ქ. ტყვარჩელის № 12 საღამოს საშუალო სკოლის XI
კლასის 18 მოსწავლიდან ყველამ მიიღო საშუალო განათლების ატეს-
ტატი, ანალოგიური მდგომარეობაა ტყიბულის № 2 საღამოს საშუალო
სკოლის VII, VIII და IX კლასებში, ცხაკაიას რაიონის ფოცხოს სა-
ღამოს სკოლაში, წყალტუბოს რაიონის ზანიასა და ოფშკვითის სკო-
ლასთან არსებულ საღამოს კლასებში.

მასწავლებელთა დიდი ნაწილი მონაღმეობითა და მაღალი ბა-
სუხისმკვებლობით ეკიდება მომუშავე ახალგაზრდობის სწავლა-აღზრ-
დის საქმეს, გულდასმით ემზადება და მაღალ იდეურ დონეზე ატა-
რებს გაკვეთილებს, სწავლებაში ფართოდ იყენებს თვალსაჩინოებასა და
ტექნიკურ საშუალებებს. ზოგს მათგანი აღწევს იმას, რომ მოსწავ-
ლეებმა გაკვეთილზევე შეისწავლონ ახსნილი მასალა. კარგი მუშაობის
მაგალითებს იძლევიან ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებ-
ლები ლ. ბეჟანიშვილი, ა. ცხვირაშვილი, (თბილისის № 11 და № 41
სკოლები), ვ. კუბარავა (ქ. ქუთაისის № 6 სკოლა); რუსული ენისა და
ლიტერატურის მასწავლებლები ვ. გურიანოვიჩი, ლ. კირიჩენკო, (თბი-
ლისის № 34 და № 38 სკოლები), დ. ჯავახია (ფოთის № 2 სკო-
ლა), ვ. შავგულიძე (ენისელის სკოლა), ლ. კასრაძე, პ. გავლოვი
(ცხივილის საღამოს სკოლა), ც. ნუკუშიძე (ქუთაისის № 4 სკოლა);
ქიმიისა და ბიოლოგიის მასწავლებლები რ. მაჭარაძე (ფოთის № 1

სკოლა), ჯანაშვილი (ქ. გორის № 2 სკოლა), ე. ჯიქია (ქუთაისის № 3 სკოლა). ისტორიის მასწავლებლები — ენისენკო (ქარელის სკოლა-ლაშოს სკოლა), ნ. მალაკველიძე (ქუთაისის № 3 სკოლა) და ბერი სხვა.

მაგრამ მოზრდილთა სწავლებაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს, მათგან მთავარი არის ის, რომ მოსწავლეთა კონტინენტის სახელხო მეურნეობის გეგმების შესრულება ვერც ხუთწლეულში მილიანად და ვერც 1975 წელს ვერ იქნა უზრუნველყოფილი აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში (95,5%) სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში (90,9%), ქ. თბილისში (87,7%), ჭიათურაში (94,2%), ფოთში (88,7%), ტყიბულში (87,7%), აგრეთვე ამბროლაურის (75%), მაიაკოვსკის (86,2%), სიღნაღის (91,%) და ცაგერის (83,7%) და სხვა რაიონებში.

ადგილი აქვს სკოლებიდან მოსწავლეთა დიდი რაოდენობით გასვლის შემთხვევებს, 1974—1975 სასწავლო წელს გავიდა სულ 10313 მოსწავლე, მათ შორის 5536 — არასაპატიო მიზეზებით. ამ მხრივ განსაკუთრებით არადაამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების, ქ. ქ. თბილისის, ქუთაისის, ჭიათურის, აგრეთვე წალენჯიხის, თერჯოლის, წყალტუბოს, ორჯონიკიძის, ლანჩხუთის, ახალქალაქის, ასპინძის, ვანის, საჩხერის, გარდაანის, ახალციხის, ბოლნისის, გურჯაანის, მარნეულის, თელავის, წულუკიძის რაიონების სკოლებში. წყალტუბოს სალამოს საშუალო სკოლის მარტო IX კლასიდან გასულა 23 მოსწავლე. აქედან 15 მოსწავლე ამოღებულია სიებიდან იმის გამო, რომ ისინი სწავლებაში ჩამორჩებიან; საჩხერის რაიონის სალამოს სკოლის 199 მოსწავლიდან სწავლას ჩამოშორდა 71, ლანჩხუთის დაუსწრე ელი სამულო სკოლიდან, აკადემიურს ჩამორჩენილობისა და ასაკვადაცილების გამო, 18 მოსწავლეა გასული. ორჯონიკიძის რაიონის მარელისის სალამოს სკოლაში 88 მოსწავლიდან სასწავლო წლის ბოლის შეფასებულ იქნა მხოლოდ 38, სკოლიდან გავიდა 16, ხოლო იმავე კლასეში დატოვეს 27 ისეთი მოსწავლე, რომლებიც სისტემატურად აცდენენ ვაკვეთილებს; გორის მეორე საშუალო სკოლიდან ანალოგიური მიზეზით სკოლა დატოვა 123 მოსწავლემ, ქ. სოხუმის სალამოს სკოლებში, ვაკვეთილებზე გამოუცხადებლობის გამო, სიებიდან ამოიღეს 70 მოსწავლე.

ზოგან უხეშად ირღვევა განათლების სამინისტროს მიზნობა იმის შესახებ, რომ სკოლიდან მოსწავლის გარიცხვის, სიებიდან ამო-

ლემის ტაჯითხს უნდა წყვეტდეს პედაგოგიური საქო იმ საწარმოს წარმომადგენლის დასწრებით, სადაც მოსწავლე მუშაობს.

ხშირია მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების არასაპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევები, გასულ სასწავლო წელს გაცდენილია სულ მილიონ 397 237 საათი, მათ შორის არასაპატიო მიზეზით—733 079. თელავის სალამოს საშუალო სკოლაში შემოწმებისას გაკვეთილებს ესწრებოდა მოსწავლეთა მხოლოდ 40—50%, ამ რაიონის სკოლებში მოსწავლეთა მიერ გაცდენილ 34134 გაკვეთილიდან 22 410 არასაპატიოა, აღიგნის რაიონის უღეს დასწრებულ-დაუსწრებელ საშუალო სკოლაში მოსწავლეთა მიერ გაცდენილ 11365 საათიდან ნახევარზე მეტი არასაპატიოა. ანალოგიური მდგომარეობაა ქ. ფოთის, გარდაბნის, თიანეთის, ხობის, წყალტუბოს, მაიაკოვსკის, ახალქალაქის მარნეულის, გორის, დმანისის, თეთრიწყაროს და წულუკიძის რაიონებში. აგრეთვე აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და ქ. თბილისის სალამოს სკოლებში. მომთხოვნელობის შესუსტებით უნდა აიხსნას ის, რომ ზოგიერთ სკოლაში სრულად არ აღრიცხავენ მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების გაცდენებს. ზნაურის რაიონის აგნევის ქართულ და რუსულ საშუალო სკოლებთან არსებულ სალამოს კლასებში გაკვეთილებზე მოსწავლეთა გამოუცხადებლობის გამო ადგილი ჰქონდა მეცადინეობის ჩაშლის შემთხვევებს. ასეთი შემთხვევებს ჰქონდა აგრეთვე ადგილი თეთრიწყაროს რაიონის ერთის საშუალო და დოუბნის რვაწლიან სკოლებთან არსებულ სალამოს კლასებში. ზოგან მასწავლებლების მიზეზითაც კი იშლება გაკვეთილები.

განათლების განყოფილებები, სკოლების დირექტორები ზოგან შეგუებულნი არიან ნაკლოვანებებთან, საჭირო შემთხვევაში საკითხს არ აყენებენ ადგილობრივ, პარტიული და საქოთა ორგანოების წინაშე და გადამჭრელ ზომებს არ ღებულობენ მდგომარეობის მკვეთრად გაუმჯობესებისათვის, ბევრგან სუსტად მუშაობენ კლასის ხელმძღვანელები.

ზოგან სკოლებს სათანადო კონტაქტი არ აქვთ დამყარებულნი საწარმოებთან, ორგანიზაციებთან, მეურნეობებთან, მოსწავლეები ვერ სარგებლობენ კანონმდებლობით გათვალისწინებული შეღავათებით, ყველგან არაა ერთმანეთთან შეხამებული პროფტექნიკური სასწავლებლების და სალამოს სკოლების მუშაობის რეჟიმი. მასწავლელთა ერთი ნაწილი სათანადოდ ვერ ფლობს საგანს, ვერ ერკვევა სალამოს



სკოლაში მუშაობის მეთოდებში, სწავლებაში ვერ იყენებს სიახლეებს, თვალსაჩინოებას, ტექნიკურ საშუალებებს და ვერ უხამებს სწავლებას მოსწავლეთა ცხოვრებისეულ ცოდნა-გამოცდილებას. ამის გამო ცალკეული საგნების სწავლება დაბალ დონეზე დგას და მოსწავლეთა ცოდნის დონე არადაამაკმაყოფილებელია.

თელავის სალამოს საშუალო სკოლაში 446 მოსწავლიდან დატოვებულ იქნა იმავე კლასში 146 (30%), 14 მეორეწლიანი მოსწავლე კვლავ დარჩა იმავე კლასში, VIII კლასის 45 მოსწავლიდან. შემდეგ კლასში გადავიდა მხოლოდ 24, XI კლასის 80 მოსწავლიდან კურსი დაამთავრა 51-მა, გორის რაიონის აძვის სკოლასთან არსებული სალამოს VI კლასის 11 მოსწავლიდან იმავე კლასში იქნა დატოვებული 5, გალის სალამოს საშუალო სკოლის XI კლასის 17 მოსწავლიდან—9. აფხაზეთის ასს რესპუბლიკის სალამოს და დაუსწრებელ სკოლებში წინა წელთან შედარებით გაიზარდა მეორეწლიან მოსწავლეთა რიცხვი და აკადემიური მოსწრება მხოლოდ 75% -ს შეადგენს; ქ. გორის სკოლებში იგი 71% -ია, სამტრედიის რაიონში 69%, ლახხუთში—52%, ბოლნისში—71, გარდაბანში—77 და ა. შ.

სალამოსა და დაუსწრებელი სკოლების არადაამაკმაყოფილებელ მუშაობაზე მიუთითებს ისიც, რომ გასულ სასწავლო წელს ამ სკოლების მერვე კლასების მოსწავლეთაგან მხოლოდ 81,3% -მა დაამთავრა დასახელებული კლასი, ხოლო მე-11 კლასების მოსწავლეთაგან კი 87,3% -მა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქში 158 მერვეკლასელიდან მხოლოდ 82-მა (52%) დაამთავრა რვა კლასი.

რიგ რაიონებსა და ქალაქებში შესუსტებულია კონტროლი მასწავლებლებისადმი, დირექტორებისა და მათი მოადგილე ისადმი. ვანის რაიონის სოფელ დიხაშხოს სალამოს საშუალო სკოლის დირექტორი ლ. საღრიშვილი იშვიათად ესწრებოდა გაკვეთილებს, ხოლო მოსმენილი გაკვეთილების ანალიზში არ იყო მოცემული სათანადო მეთოდური მითითებანი, ანალოგიური მდგომარეობა იყო გარდაბნის რაიონის გამარჯვების, თერჯოლის და სხვა სალამოს სკოლებში. ქ. გორში, თეთრიწყაროში, სამტრედიაში და სხვაგან ფორმალურ ხასიათს ატარებს მეთოდური კომისიების მუშაობა. განსაკუთრებით სუსტად ხორციელდება დახმარება და კონტროლი დღის სკოლებთან არსებულ სალამოს კლასების მასწავლებლებისადმი. გასულ სასწავლო წელს ბოლნისის, მარნეულის, თეთრიწყაროს და სხვა რაიონების სკოლების დირექტორები და მათი მოადგილეები არ დასწრებიან გაკვეთილებს სალამოს კლასებში.

ზოგიერთ სკოლაში სუსტად მუშაობენ პედაგოგიური საბჭოები, ზერელედაა შედგენილი სამუშაო გეგმები, მოუწესრიგებელია სასკოლო დოკუმენტაცია.

ველავ აბის სალამოს სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვის წესების უხეშად დარღვევის შემთხვევაში. მოსწავლეებს ყოველთვის არ თხოვენ სათანადო საბუთს განათლების შესახებ, ცნობებს სამუშაო ადგილიდან, ზოგჯერ სკოლაში ისეთ ახალგაზრდებსაც ღებულობენ, რომლებიც არ მუშაობენ და თავს არიდებენ შრომას, არასრულწლოვანთა მიღებისას ყოველთვის არ თხოვენ რაიადმასკომებთან არსებული კომისიის გადაწყვეტილებას. მიუხედავად არაერთგზის მითითებისა, ზოგან ვერ შეარჩიეს მოზოდილთა სწავლების მოხერხებული ფორმები, ამიტომ კლასების განხნისას უხეშად არღვევენ დებულებას სალამოს სკოლას შესახებ. სალამოს სკოლისა და კლასების განხნის, აგრეთვე მოსწავლეთა ჩარიცხვის საქმეში უხეშ დარღვევებს ჰქონდა ადგილი სამარეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ბოლნისის, მარნეულის, თეთრიწყაოს, ზესტაფონისა და სხვა რაიონებში.

ბევრგან არადამაკმაყოფილებლად დაყენებული აღმზრდელობითი მუშაობა მოსწავლეთა შორის, არ არის შექმნილი მოსწავლეთა მტკიცე კოლექტივები, არ ტარდება აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძიებები, ოის გამო ადგილი აქვს დისციპლინის უხეშად დარღვევის ფაქტებს.

რესპუბლიკის სალამოს სკოლების მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებები იმის შედეგია, რომ განათლების ბევრმა ადგილობრივმა ორგანომ სათანადო დასკვნები არ გამოიტანა მომუშავე ახალგაზრდების სწავლების თაობაზე ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანოების გადაწყვეტილებებიდან, განათლების სამინისტროს ბრძანებებიდან და არ გააანორციელეს ქმედითი ღონისძიებანი ამ დარგში აოსებალ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. აუზაზეისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა:

ა) უზოუნკედყან მოზოდილთა სწავლების დარგში კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ დასახული ამოცანების შესრულება, არ დაუშეან ამ დიდმნიშვნელოვანი საქმის შეუვასებალობა;

2.

კ. მარქაის სსრ. საქ. სსრ
საბჭოთა მთავრობის მიერ დასახული ამოცანების შესრულება

ბ) უზრუნველყონ მოსწავლეთა კონტინენტის გვეგების აუცილებელი შესრულება თვითთულ რაიონსა და ქალაქში, ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, შეარჩიონ მოზრდილთა სწავლების მოხერხებული ფორმები, რომ სწავლებაში მაქსიმალურად იქნან ჩაბმული მომუშავე ახალგაზრდები. ყველა ზომა მიიღონ მოსწავლეთა კონტინენტის შესანარჩუნებლად;

ვ) სისტემატურად შეისწავლონ საღამოს სკოლების მუშაობა, შედეგები განიხილონ კოლეგებისა და სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე და გაატარონ რადიკალური ღონისძიებანი მათ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად;

გ) მიაღწიონ საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებას, ამ საქმეში ფართოდ გამოიყენონ წარმოება-დაწესებულებების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების, სამეფო ორგანიზაციების, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების დახმარება; საღამოს სკოლა უზრუნველყონ სახელმძღვანელოებით;

დ) ქმედიით ღონისძიებანი გაატარონ სწავლების ხარისხის, სასწავლო-აღზრდობითი პროცესის სრულყოფისათვის, მეკვირად ამალღონ სკოლის დირექტორების, მთადგილეთის, კლასის ხელმძღვანელებისა და საგნის მასწავლებელთა პასუხისმგებლობა მოსწავლეთა ცოდნის ღონის ამალღებისათვის. შეუწყნარებლად ჩაივალოს ის ფაქტი, რომ მე-11 და მე-8 კლასების მოსწავლეთა მნიშვნელოვანი ნაწილი ვერ ამთავრეს ამ კლასებს;

ე) სისტემატურად იზოუნონ იმისათვის, რომ საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების მასწავლებლები ძირითადად დატვირთულნი იყენენ ამ სკოლაში და არ უხდებოდეთ შეთავსებით სხვაგან მუშაობა;

ვ) მიაღწიონ წარმოება-დაწესებულებათა საქმიანობის გააქტიურებას მომუშავე ახალგაზრდების სწავლების დოკში. ისე მოაწყონ საქმე, რომ საწარმოებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელები სისტემატურად აკონტრილენდნენ მათთან მომუშავე მოსწავლე ახალგაზრდების გაკვირდებზე დასწრებისა და სწავლებაში წარმატების მდგომარეობას, ადგილობრივი ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახმარებით უზრუნველყონ სახალხო მეურნეობაში დასაქმებული 16—29 წლის იმ ახალგაზრდების მთლიანად ჩაბმა სწავლებაში, რომელთაც არ აქვთ საშუალო და რვაწლიანი განათლება;



ზ) საფუძვლიანად შეისწავლონ სუსტად მომუშავე სკოლის დირექტორებისა და მასწავლებელთა მუშაობა და იმათ მიმართ ვინც ვერ უზრუნველყოფს სკოლებზე ხელმძღვანელობასა და საგნის ნორმალურ სწავლევას გაატარონ რადიკალური ღონისძიებანი;

სპეციალური მსჯელობის საგნად გახადონ იმ სკოლების ხელმძღვანელთა საკითხი, რომლებიც არ ღებულობენ გადამჭრელ ზომებს სკოლებიდან არასაპატიო მიზეზით მოსწავლეთა გასვლის წინააღმდეგ და არ იცავენ ამ დარგში საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მითითებას, საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების მოსწავლეთა კონტინგენტის შენარჩუნების შესახებ;

თ) იქ, სადაც დღემდე ეს არ არის გაკეთებული, საღამოს სკოლების მუშაობაზე ხელმძღვანელობა ბრძანებით დაავალონ ერთ-ერთ ინსპექტორს. დღის სკოლებთან არსებულ საღამოს კლასების მუშაობაზე ხელმძღვანელობა, როგორც წესი, დააკისრონ ამავე სკოლების დირექტორებს. ბრძანებითვე გააფრთხილონ დღის სკოლების დირექტორები, რომ საღამოს სკოლებმა დაუბრუნებელივ ისარგებლონ კანინეტ-ლაბორატორიებით, თვალსაჩინოებით;

ი) აუცილებლად მიახდინონ საღამოს და დაუსწრებელ სკოლებში სამემიდეგომო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებთან დაკავშირებით და სხვა მიზეზებით გაცუენილი საათების ანაზღაურება სამეცადინო დღეების გაზრდის ხაზზე ან არდადეგების დროს. უზრუნველყონ ყველა სკოლაში პროგრამული მასალის მთლიანად გავლა;

კ) გადაჭრით გააუმჯობესონ მეთოდური მუშაობა სკოლების დირექტორებთან, მათ მიადგილებთან, მასწავლებლებთან. უზრუნველყონ დირექტორებისა და მათი მიადგილეების რეგულარული დასწროება გაკვეთილებზე.

2. საღამოსა და დაუსწრებელი, აგრეთვე დღის იმ სკოლების დირექტორე მ, სადაც საღამოს კლასებია:

ა) ხელმძღვანელობისა და კონტროლის გაძლიერებით აამაღლონ მასწავლო პროცესის დონე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნათა შესაბამისად, სამისად ფართოდ გამოიყენონ სწავლების ისეთი თანამედროვე საშუალებები, რომლებიც ხელს უწყობენ ცოდნის საფუძვლიან დაუფლებას; მიაღწიონ მოსწავლეთა ცოდნის დონის აკადემიური ძონსოვის ამაღლებას, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეებთან მუშაობას;

ბ) ყველა დანიამთავრა გაატარონ იდეო-პოლიტიკური და ღმრთელობითი ქმედება სრულყოფილი; აწავლით პროცესი.

მჭიდროდ დაუკავშირონ ზნეობრივ აღზრდას; ორგანულად შეასამაინონ იგი მასწავლელთა შრომით საქმიანობასა და ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან;

გ) მჭიდრო კავშირი დაამყარონ წარმოება-დაწესებულებებთან, კოლმეურნეობებთან და საბჭოთა მეურნეობებთან, მასწავლელთა იჯაებთან—მშობლებთან, მიადწიონ მათ სამოქმედო უბნებზე მომუშავე ახალგაზრდობის მაქსიმალურად ჩაბმას სწავლებაში, მასწავლელთა კონტაქტის შენარჩუნებას, ვაკეეთილების არასაპატიო მიზეზით გაცდენის მინიმუმამდე დაყვანას;

დ) გააუმჯობესონ პედაგოგიური საბჭოების მუშაობა, სისტემატურად განიხილონ ცალკეული სასწავლო დისციპლინების სწავლების მდგომარეობა, მოსწავლელთა აკადემიური მოსწრებისა და აღმზრდელობითი ხანაითა საკითხები; არ დაუშვან მოსწავლელთა სკოლიდან გარიცხვის არცერთი შემთხვევა პედაგოგის დადგენილებისა და წარძივება-დაწესებულების წარმომადგენელთა მინაწილეობის გარეშე;

ე) გადაჭრით გააძლიერონ დანებარება და კონტროლი პედაგოგების, კლასების ხელმძღვანელთა მიმართ. ამაღლონ მათი პერსონალური პასუხისმგებლობა საგნის სწავლების მდგომარეობაზე;

ვ) პროფტექნიკურ სასწავლებლებთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე იმდაგვარად დაგეგმონ სასწავლო პროცესი, რომ მოსწავლელის შესაძლებლობა აქონდეთ რეგულარულად ესწავებოდნენ ვაკეეთილეს და საწარმოო პრაქტიკის გავლისას არ მოწყდნენ სწავლას;

ზ) მტკიცედ დაიცვათ საღამოს სკოლებში მოსწავლელთა მიღების წესები, არ დაუშვან განათლების შესახებ სათანადო საათის გარეშე სკოლაში მათი ჩარიცხვის არცერთი შემთხვევა;

თ) წესრიგში მოიყვანონ სასკოლო დოკუმენტაცია და მოაგვარონ აღრიცხვიანობა; უზრუნველყონ მოსწავლელთა სახელმძღვანელოებითა და სხვა სასწავლო ნივთებით მომარაგება;

ი) მასწავლელთა ცოდნის შეფასებისას ზუსტად იხელმძღვანელონ მიზნობრილი ზოგადი განათლების სავაჭირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის რეკომენდაციებით—„საღამოს სკოლის მოსწავლელთა ცოდნის აღრიცხვის შესახებ“; არ დაუშვან ჩათვლის სისტემის შეუფასებლობა, განსაკუთრებით იმ მოსწავლეებისადმი, რომელსაც ბევრი გაცდენა აქვს;

კ) პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე განიხილონ აღნიშნული

ბრძანება და, მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, განახორციელონ პრაქტიკული ღონისძიებანი.

3. სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაზე არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობისათვის ორჯონიკიძის რაიონის მაკელისის და ქ. გორის მე-2 საღამოს საშუალო სკოლების დირექტორებს ა. გელაშვილს და გ. გიორგაძეს გამოეცხადოთ სასტიკი საყვედური.

ცნობად იქნეს მიღებული, რომ აღნიშნულის გამო ადგილებზე განათლების განყოფილებათა მიერ დასჯილები არიან მარნეულის რაიონის ყ. ჩაღანის საღამოს სკოლის დირექტორი ა. აღიევი, გარდა - ნის რაიონის მარტყოფის და *ზნაურის რაიონის აგნევის დღის სკოლების დირექტორები ა. ნატროშვილი და გ. ვაზაევი, ხოლო ვანის რაიონის დიხაშხოს, ქ. თბილისის № 43, თელავის, ჩხოროწყუს, თერჯოლის საღამოს, ტყვარჩელის დღის № 6 და ლანჩხუთის დაუსწრებელი საშუალო სკოლების დირექტორები: ლ. საღრიშვილი, ლ. თევზაძე ა. ვაჭარაძე, შ. თოდუა, ნ. ჩიტაძე, კ. ჭკადუა, ა. იმნაიშვილი განათვისუფლებულნი არიან დაკავებული თანამდებობიდან.

რჩევა მიეცა ორჯონიკიძის (ხარაგოულნი) რაიონის განათლების განყოფილებას, შეუტყუალოს სამუშაო ადგილი ორჯონიკიძის დასწრებულ-დაუსწრებელი სკოლის დირექტორს ამხ. რ. მაღრაძეს, ვინაიდან მისთვის ძნელია ამ საქმის გაძლოლა.

4. საღამოსა და დაუსწრებელი სკოლებისადმი სუსტი დახმარებისა და კონტროლისათვის გამოეცხადოს საყვედური ორჯონიკიძის, ვანისა და თერჯოლის რაიონების განათლების განყოფილებათა ინსპექტორებს პ. ღამბაშიძეს, შ. ლომთათიძეს და ვ. ბეჟუკაშვილს.

5. საღამოს სკოლების მასწავლებლებთან მეთოდური მუშაობის არადამაკმაყოფილებლად დაყენებისათვის გამოეცხადოთ საყვედური ქ. გორის, მარნეულის და სამტრედიის რაიონების მეთოდკაბინეტის გამგეებს ი. ჯამბრიშვილს, ქ. მამედოვს და ვ. ნიკოლაიშვილს.

6. საღამოს სკოლების მუშაობაზე სუსტი ხელმძღვანელობისა ამ სკოლების საქმიანობაში სერიოზული ნაკლოვანებების დაშვებისათვის და მოსწავლეთა დაბალი მომზადებისათვის მიერთოთ: თერჯოლის, ხობის, მიაკოვსკის, მარნეულის, სამტრედიის რაიონებისა და ქალაქ ფოთის განათლების განყოფილებათა გამგეებს რ. გაბრიჭიძეს, შ. ხარებავას, დ. კვირიკაძეს, უ. გვიდაროვს, ვ. ძნელაძეს, ა. ცხადაიას.

-7. ვინაიდან თეთრიწყაროს რაიონის განათლების განყოფილების გამგე აშხ. ლ. ჯინჯიბაძე დიდი ხანი არ არის, რაც ამ თანამდებობაზე მუშაობს, გავგზავნოს მას სალამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველოს მიერ ამ რაიონების შემოწმების მასალები. წინადადება მიეცეს მას, განახორციელოს საჭირო ღონისძიებანი და უზრუნველყოს დასახელებულ მასალებში აღნიშნული სერიოზული ხაკლოვანეების მოსწორება. ჩატარებული მუშაობის შესახებ მოახსენოს სამინისტროს 1976 წლის თებერვალში.

8. ცნობად იქნეს მიღებული, რომ ბოლნისის რაიონის სალამოს სკოლების მუშაობა უნდა შეისწავლონ, ხოლო ლანჩხუთისა და სიღნაღის რაიონების სკოლების მუშაობას ამჟამად სწავლობს სალამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველო და შედეგები ცალკე მოხსენდება კოლეგიას.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1975 წლის 27 ნოემბრის დადგენილება.

მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ПРИКАЗ № 970
МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР
08.12.75

О работе отдела народного образования, школ и дошкольных учреждений Богдановского района по выполнению директив XXIV съезда КПСС и Постановления ЦК КПСС и Совета Министров СССР от 2 июля 1973 г. „О мерах по дальнейшему улучшению условий работы сельской общеобразовательной школы“

За последние годы улучшились некоторые показатели, характеризующие состояние народного образования в Богдановском районе. Вместе с тем, проверкой, проведенной Министерством просвещения Грузинской ССР, были вскрыты серьезные недостатки в деятельности отдела народного образования, педагогических коллективов школ и дошкольных учреждений района.

В районе плохо используется имеющаяся учебно-материальная база, ничего не делается для перехода на кабинетную систему обучения. В ряде школ неудовлетворительно осуществляется учет и хранение инвентаря, технических средств обучения и наглядных пособий.

Учебно-воспитательная работа по ряду предметов находится на низком уровне, что обусловлено отсутствием надлежащего внутришкольного контроля и руководства. Руководители школ слушают мало уроков, оказывают недостаточную помощь учителям. В большинстве проверенных школ не соблюдается Положение о работе педагогического совета, не обсуждается постановка преподавания отдельных пред-

метов, не ставятся проблемные вопросы. Во многих школах района методобъединения учителей существуют формально.

В работе руководителей школ наблюдается формализм, отсутствует деловитость и конкретность, к обсуждению и выработке мероприятий не привлекается широкий круг учителей. Учителя пассивны, не уделяют должного внимания воспитанию учащихся. Плохо поставлена в школах внеклассная и внешкольная воспитательная работа.

Проверка выявила случаи нарушения порядка зачисления учащихся в подготовительный и первый класс, перевода из школы в школу.

Имеются недостатки в осуществлении закона о всеобщем обучении, не выполняются имеющиеся инструкции об учете детей и подростков школьного возраста, на многих выбывших учеников в школах нет подтверждающих документов.

Выявлены грубые нарушения в подборе и расстановке кадров. В школах, также как и в РОНО, не выполняется „Инструкция об учете, назначении, переводе и освобождении учителей школ, входящих в систему Министерства просвещения Грузинской ССР“. В личных делах многих учителей нет приказов о назначении, характеристик, справок о здоровье, педагогическом стаже, фотокарточек, не в порядке трудовые книжки.

Имели место случаи назначения директоров школ без ведома и утверждения Министерства.

Фактически не действовал интернат при Гореловской ср. школе (директор Вартапетян А. Т.), однако его работники получали зарплату.

Царит беспорядок в Богдановской восьмилетней школе-интернате (директор Карслян Р. Т.) и Орсджаларской ср. школе (директор Путулян С. М.).

Серьезные недостатки имеются в деятельности дошкольных учреждений: отсутствует необходимая материальная база, неудовлетворительно организован режим дня и питание детей, мало внимания уделяется эстетическому воспитанию и привитию детям гигиенических навыков.

В целях искоренения обнаруженных недостатков,



Приказываю:

I. Докладную записку бригады Министерства просвещения Грузинской ССР направить отделу народного образования для руководства и исполнения,

II. Богдановскому районному отделу народного образования:

1. Уделять особое внимание комплектованию школ и дошкольных учреждений квалифицированными педагогическими кадрами, не допускать случаев назначения в школы и дошкольные учреждения лиц, не имеющих педагогического образования, прекратить практику назначения учителей на неполную нагрузку, навести порядок в ведении личных дел учителей.

2. Систематически оказывать необходимую помощь молодым педагогам, организовать для этого при методическом кабинете РОНО Совет молодых учителей.

3. Принять необходимые меры для перевода школ, имеющих соответствующие условия, на кабинетную систему обучения.

4. Инспектирование школ и дошкольных учреждений проводить на должном уровне, с целью улучшения помощи школам и повышения личной ответственности работников аппарата РОНО и методкабинета закрепить за каждым из них зону и провести четкое распределение функций.

5. Добиться неуклонного соблюдения школами „Инструкции об учете детей и подростков школьного возраста в Грузинской ССР“ и требований Циркулярного письма Минпроса СССР от 23/III-72 г. № 15-м „Об упорядочении учета детей и подростков школьного возраста от 6 до 15 лет“, а также установленного порядка зачисления детей в подготовительный и первый класс, перевода учащихся из школы в школу.

6. Наладить и систематически контролировать учет, хранение и правильное использование в школах инвентаря, учебно-наглядных пособий и технических средств обучения.

